„მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა“

ახალი წაკადი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

ფასი 2 მან.

№ 45

კვირა 12 ოქტომბერი.

1919 წ.

გაზეთი აქთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა-ქალაქი 12 ოქტომბერი

უკანასკნელი რევოლიუციის განსაცდელი. ცნობების მიხედვით, დენიკინის ჯარი თანდათან ავიწროებს ბოლშევიკების რაზმებს და მიესწრაფება მოსკოვისაკენ. არა გვგონია, მოიპოვებოდეს ისეთი სოციალისტი, რომელსაც მწუხარე ჰანგად არ მოესმას რუსეთის რევოლიუციის განსაცდელი. დღეს ბევრი ასე მსჯელობს, დეე გათავდეს რუსეთში ეს სისხლის ღვრა და გინდ დენიკინი და გინდ ბოლშევიკები დარჩენ კვლავ გაბატონებულნი. ასე შეუძლია, რასაკვირველია იმსჯელოს მხოლოდ სულით მეშჩანინმა, თორემ განა ვინ ერ იცის, რომ რუსეთის რევოლიუციის დამარცხება დღეს უკვე დიდი საერთაშორისო რეაქციის სრულ გამარჯვებას მოასწავებს. არაჩვეულებრივის სიმტკიცითა და ენერგიით თავგახწირვით ებრძვის რუსეთის რევოლიუცია იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყოველი მხრიდან შემოსეულ ბრბოებს, და ლამობს არ დაუშვას წითელი დროშა დიდი თავისუფლების. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ არ ვიზიარებთ ბოლშევიკების ტაქტიკას და პრინციპიალურ მოსაზრებათ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუ დღეს ჯერ კიდევ ყველგან არ დაყენებულა საერთაშორისო ჟანდარმერიის თავაშვებული თარეში, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბოლშევიკებს, რომელთაც რამდენიმე წლის განმავლობაში დაიცვეს წითელი რუსეთი ყველ-ყორნებისაგან. რასაკვირველია, თვის ბრძოლაში ბოლშევიკები ხშირად დიდ შეცდომებს სჩადიან რევოლიუციონერისათვის ბევრეს არა საკადრის საშუალებას მიმართავენ, მაგრამ ყოველივე ამის გათვალისწინება შორიდან ადვილია, ხოლო მათთვის კი ძნელია, ვისაც ყოველ დღე ახალ-ახალ ფრონტზე უხდება ბრძოლა არსებობისა და თავისუფლების დასაცავად. თუ დენიკინი მოსკოვს შეიჭრა და კვლავ აღიმართა სამფეროვანი დროშა, აღადგინა ძველი რეჟიმი და სისხლის მორევით აავსო მისი ქუჩები, იცოდენ ყველა სახის პოლიტიკურ სოციალისტურმა ჯგუფებმა, რომ რევოლიუცია უმთავრესათ მათის მეოხებით დამარცხდა. დამარცხდა იმიტომ, რომ მათ შეჰქმნეს უდიდესი უკმაყოფილება თვით მუშათა კლასშია. აღმართეს მათ შორის კედელი გაუგებრობისა და სიძულვილისა და ხელი შეუწყვეს მათი ძალების დაქუცმაცებას. თუ ბურჟუაზია სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლისთვის უკანასკნელ ძალებს იკრეფდა და მათ მობილიზაციას ახდენდა, მუშათა კლასში დაწყებული უთანხმოება ასუსტებდა მათ ძალ-ს და ფრონტს უხსნიდა უკვე განწირულ ბურჟუაზიას. ისტორიას ჰყავს თავისი ნემეზიდა და ჩვენის ღრმა რწმენით, ისინი, ვინც დასთესა საშინელი შური და მტრობა მაშვრალთა შორის, თვით მოიმკიან სასიკვდილო მოსავალს, მაგრამ ამით საქმე ადვილად აღარ გამოსწორდება.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ რუსეთის რევოლიუციის დამარცხება, დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასაც და მრავალ ახალ საშინელ განსაცდელს ამოიტივტივებს ჩვენი ცხოვრების ზედაპირზე...

იმედი ისაა: რომ დენიკინის მეუფება, თუ იგი მართლაც დამყარდა, ხანგრძლივი არ იქნება და მოკლე მწარე შესვენების შემდეგ ხალხი კვლავ მიუჩენს მას თავის ადგილს... ხოლო როდესაც დენიკინის ბაშიბუზუყები უღვთოდ აწამებენ რევოლიუციის გმირებს, ჩვენც ღრმა მოწიწებით მუხლს ვიყუმათი სახელოვანი გსოვნის წინაშე და მოვუწოდებთ საქართველოს მუშათა კლასს მთელის არსებით დაეხმარონ რევოლიუციას შავი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში...

ძველი გზით.

3.

ამას წინად საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე ერთი შეკითხვის გამო ბ. ლეო შენგელიამ განაცხადა: „ბ-ბო, ყველა ყაჩაღი და ქურდი რომ დავაპატიმროთ, მაშინ ადმინისტრაციაში ვიღა დარჩებაო“. ეს სიტყვები, დამფუძეებელი კრების წევრის მიერ, წარმოთქმული, არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული. თუ ის ხალხი, რომელიც, მათის განცხადებით, საქართველოში ახალ სახელმწიფოებრივ ფორმას ჰქმნის, ასე ჰფიქრობს და მასში დარწმუნებულიც არის, აქედან, ცხადია, მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: უნდა მოხდეს დაუყოვნებლივი გაწმენდა ადმინისტრაციისა, თუგინდ ამ გაწმენდის შემდეგ ადმინისტრაციაში არც ერთი კაცი აღარ დარჩეს, რადგან ხალხისთვის გაცილებით უკეთესია ბოროტ მზრუნველებისაგან სავსებით და მალე გაინთავისუფლოს თავი. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ადმინისტრაციის ყველა წევრი მართლაც ბოროტ-მომქმედთა ჯგუფს ეკუთვნოდეს, მაგრამ იმაში კი ღრმადვართ დარწმუნებული, რომ ადმინისტრაციის ბევრი წევრი, განსაკუთრებით პროვინციაში, საშინელ რისხვად და წრეზე-გადასულ ბოროტმომქმედად მოვლინებია ხალხს. არა ხელისუფალთა და ბრძანებელთა მდგომარეობის გასამტკიცებლად, არამედ საქართველოს ახლად შობილი თავისუფლების აყვავებისა და გაძლიერებისათვის ჩვენც ხმა მაღლა მოვითხოვთ ვისგანაც ჯერ არს. სა ჩქაროდ მოაშორონ ხალხს ჩვენი დროის დერეფიმორდები, თორემ მერე გვიან-ღა იქნება. მიბრძანდით სოფლებში და შეეკითხეთ ხალხს, რას ჰფიქრობს იგი ახალ ადმინისტრაციაზე და თქვენ დარწმუნდებით, რომ მის თვალში იგი არაფრით განსხვავდება ძველი პოლიციისაგან: ძველებური მექრთამეობა, ძალმომრეობა, მოქალაქის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, აი, რა სურათები გადაგეშლებათ ჩვენს პროვინციაში. ჩვენს ქვეყანას 120 დეპუტატი ჰყავს და ნუთუ ამ ბატონებს სურვილი არ დაებადათ, ხალხის გულისტკივილი გაეგოთ და შემდეგ დამფუძნებელი კრებისათვის მოეხსენებიათ? თუ ყველა თავის მრევლის შემომავალს იცავს? სოციალ-დემოკრატი — სოციალ - დემოკრატს, სოციალ-ფედერალისტი — თავის ამხანაგს. სოც.-რევოლიუციონერი — თავისას და სხვ. ნუ თუ ეს არის ახალი ცხოვრების აშენება! დღეს, სიბინძურით აღსავსე წუთისოფელში, დიდი ზნეობრივი სიფაქიზისა და გონებრივი სიმაღლის უნდა იყოს ხალხის ყოველი წარმომადგენელი, რომელიც პირველ რიგზე ხალხის საერთო ინტერესებს აყენებდეს და შემდეგ თავის პარტიულ საქმიანობას, ბ-ბო, ხალხის განთავისუფლება დიდი წმინდა საქმეა და უნდა გულწრფელად ვსთქვათ, ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენში დღეს გაბატონებულ სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ ნუ დაივიწყებთ ხალხის სამსახურს მაშინ. როდესაც თბილ-თბილ ადგილებზე მოიკალთეთ და რბილ სავარძელში განისვენებთ. თუ უწინ ხალხთან ერთად იბრძოლდით, გვერდში უდექით მას ჭირსა და ლხინში, დღეს როდესაც მართველები გახდით, ამავე ხალხს დაშორდით, ზევიდან დასცქერით. მისი აღარ გესმისთრა და თავსა და ქვეყანას იმით ანუგეშებთ, ხალხის დიდმა უმრავლესობამ ჩვენ მოგვცა ხმა, მაშასადამე ხალხი ჩვენ გვენდობაო. ნუთუ არ იცით, როგორ ხდება ჩვენში ყოველგვარი არჩევნები, რამდენი გოგოლის „მკვდარი სული“ ღებულობს მასში მონაწილეობას და როგორის სულიერის პასუხებით მიდის ყუთთან თქვენი ადეპტების მიერ შეშინებული მოქალაქე, რომელიც დღეს კვლავ თქვენი „ქვეშევრდომი“ გამხდარა. ხომ გახსოვთ ძველ მუშაობაში ის სიბნელე, რომელიც არა მარტო ჟანდარმებისა და პოლიციელების დევნაში გამოიხატებოდა, არამედ იმაშიც, თუ მთავრობის მიერ შეშინებული ხალხი როგორის მორიდებით ეკიდებოდა თქვენთან დაახლოების საქმეს. დღეს თქვენც მთავრობა ხართ, გაყავსთ შეიარაღებული ძალა და ფართო მასსა, განსაკუთრებით სოფლის მცხოვრებლებისა, ეგეთივე შიშით შესცქერის თქვენს წინააღმდეგ ლაპარაკს, თუმცა ხშირად სიტყვას მართალს, გულში იკლავს. და რომ ამ უკმაყოფილებით არ ისარგებლონ სწორედ ისეთმა პირებმა, რომლებიც დაუძინებელი მტრები არიან საქართველოს თავისუფლებისა და რევოლიუციისა. თქვენ ვალდებული ხართ ამაღლდეთ პარტიულ ჭორიკანობასა და ინტრიგაზე და ხალხის კეთილდღეობას გაბედულად და თავგანწირვით ემსახუროთ. თქვენ სხვებიც მიგითითებენ გამეფებულ უწესოებაზე, მაგრამ თქვენი ეპვი გაქვსთ, რომ ისინი თქვენი გაბიაბრუებით თავის გაბატონებას ესწრაფვიან და ამიტომ თქვენც გაბოროტებით უპასუხებთ მათ გამოსვლებზე, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სიმართლეს ვერ ჩაჰკლავს ვერავითარი ტლანქი და ბინძური ფიზიკური ძალა. ეს თქვენ კარგად იცით ისტორიიდან. თუ თქვენი ისტორიული მისიის პირნათლად შესრულება გნებავსთ, პირდაპირ, ყოველგვარი პარტიულ მოსაზრებათა გარეშე, შეხედეთ სინამდვილეს და მაშინ ბევრ რამეს ისეთ დაინახავთ, რასაც დღეს თვალებზე ბინდ-გადაკრული ვერ ამჩნევთ. ყოველგვარი პარტია და ჯგუფი უნდა ენაცვალოს ხალხის კეთილდღეობას და პიროვნების განთავისუფლებას. მაგრამ თუ თქვენ ისე შეგიყვარდათ ძალა-უფლება, რომ მზად ხართ ხალხის მტარვალობა იკისროთ, მაშინ ვაი თქვენ და ვაი იმ ხალხს, რომლის მესვეურობაც ბედმა გარგუნათ.

ანაბაპტისტი.

შუამავალნი.

ამას წინად გაზეთებში გადმობეჭდილი იყო რუსეთის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კარალენკოს წერილი, რომელშიაც იგი გადმოგვცემდა იმ საშინლებას, რომლითაც ხასიათდება რუსეთში დღეს გამეფებული სამოქალაქო ომი. შეუბრალებლად სჯის ორივე მხარე მოპირდაპირეებს. დახოცვა, დახვრეტა, წამება, აი ხვედრი იმათი, ვინც ერთი მოპირდაპირიდან მეორეს ეკვარდება ხელში. საკვირველია, რევოლიუცია მშვიდობიანი მოლაპარაკება არ არის, რომ უმსხვერპლოთ დამთავრდეს, მაგრამ ის, რასაც დღეს ადგილი აქვს, პირდაპირ შემაძრწუნებელი და აღმაშფოთებელია. რუსეთის რეაქციის მებაირაღტრინი კოლჩაკი და დენიკინი უღვთოდ აწამებენ რუსეთის თავგანწირულ რევოლიუციონერებს, რომელთაც კვლავ მონობაში სიცოცხლეს, სახელოვანი სიკვდილი ურჩევნიათ. და ყოველი მხრიდან გარშემორტყმული სახელოვანი რევოლიუციონერები ბრძოლის ველზე გმირულად ხვდებიან სიკვდილის საშინელებას, მაგრამ თუ მოლოდინის გარეშე დენიკინის ბრბოების ჩაუვარდათ ხელში, საშინელი წამებით უნდა გამოეთხოვონ წუთისოფელს. ასეთ პირობებში, შეიძლება, ბუნებრივია, რომ კომუნისტთა წრეებშიაც თავი იჩინოს უდიდესმა გაბოროტებამ და შურისძიების გრძნობამ და თვისი წამებული მსხვერპლის მაგიერ მათ სამფლობელოში დარჩენილ მოპირდაპირეებზე იძიონ შური, მაგრამ ის, რაც ეპატიება დენიკინის ლაშქარს, არ შეშვენის რევოლიუციონერებს. დახვრეტა და წამება ცნობილი პროფესორებისა, მსწავლულებისა და პედაგოგებისა — ეს შავი და სამარცხვინო ლაქაა რუსეთის კომუნისტების მოღვაწეობაში. ამ ფაქტს ვერავითარი მაღალი მოსაზრება ვერ გაამართლებს. ვერც რევოლიუციის ბედი და ვერც სანუკვარი მომავალი ვერ გახდება ამ მხეცობის გამმართლებელ საგნად. გვეგონა: რომ საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ საუკუნე ნახევარი მაინც გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვესწავლეთ.

მაგრამ, სჩანს, ამ მხრივ შორს არ წავსულვართ. და თუ იმ დროს ცნობილ ქიმიკოსს ლავუაზიეს სასიკვდილო განაჩენი დამშვიდებულად გამოუტანეს იმ რწმენით, რომ „რევოლიუციას ქიმიკოსები არ სჭირდებაო“, დღესაც ამაეე რევოლიუციის „კეთილ დღეობისათვის“ სიცოცხლეს უსპობენ ისეთ პირებს, რომელთაც მთელი თავისი შემოქმედება, თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვინის თითოეული ხვეული ანაზდად შესწირეს მეცნიერების გაძლიერებასა და ხალხის გონებრივ და სულიერ განვითარებას. ხალხის ფართო მასაში თავაშვებული და საზღვარ-დაუდებელი შურისძიების გაღვიძება იმ საშინელ მხეცს მოგვაგონებს, რომელიც ყოველდღე თვრება ადამიანთა სისხლით, მაგრამ მის დაკმაყოფილებას კი საზღვარი არა აქავს. გინდა ხმა მაღლა იყვირო; ადამიანის საუკეთესო გრძნობათათვის, რევოლიუციის ბედნიერებისათვის შეაჩერეთ ეგ საშინელი შურისძიება, ნუ ათარეშებთ საშინელ მხეცს, თორემ ვაი იმათ, ვინც ამ გრძნობაზე ამყარებს დიდ ტრანსფორმაციას! მოიგონეთ ბედი რობესპიერისა, მარატისა და სხვების! მაგრამ აბა ვინ გაიგონებს! ასეთი ხმა დარჩება დღევანდელ გამწავებულ, გაბოროტებულ წუთისოფელში „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. იმის მაგიერ, რომ სოციალისტური პარტიები ერთიმეორეს საფლავს უთხრიდენ, მომენტი მათგან ერთობას მოითხოვს, რათა ბურჟუაზიისათვის გამზადებული სასიკვდილო ლახვარი ისეთი ძლიერი იქნეს, რომ ერთბაშათ ამოსწვას ბინძურთა ბუნაგი. ჩვენ კარგად გვესმის კოროლენკოსა და მისი ამხანაგების გულწრფელი სურვილი და მისწრაფება, შეანელონ საშინელი შურისძიება და იხსნან ადამიანი მხეცური განსჯისაგან, მაგრამ ვგრძნობთ, რომ შუამავლობა მათი თავიდანვე განწირულია, რადგან დღეს მათ არ-ვინ გაუგონებს...

რკინის გალიიდან გამოვარდნილი მხეცი ასე ადვილად არ დაკმაყოფილდება...

ალ. წ—ლი.

საუკეთესო დღეგო ყრილობა.

საერთოდ ყველა დარგის მუშათა ყრილობა, სად და რა პირობებში არ ხდებოდეს ის, მაინც საყურადღებოა, ვინაიდან მუშათა ყრილობის ნაყოფი არის აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებით საჭირ-ბოროტო მუშათა საკითხების ამა თუ იმ სახით გადაწვეტა მაგრამ განსაკუთრებითი ყურადღების ღირსი რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობა. რკინის გზის მოსამსახურენი სხვა დარგის მოსამსახურეებზე უფრო ბევრად მომზადებულნი არიან, რაც გვაძლევს საშუალებას თამამად ვსთქვათ, რომ მთელი წარმოების ხელ-მძღვანელობა მათ შეუძლიათ.

რევოლიუციის პირველ დღეებში რკინის გზის პროლეტარიატმა თვით იკისრა ადმინისტრაციის მოწესრიგება და შეიძლება აღნიშნოს, მიუხედავათ საერთო არევ-დარევისა, მუშებმა თანდათანობით შესძლეს მისაღებ რევოლიუციონური წესის აღდგენა რევოლიუციის განვითარების პროცესში ჩვენ ვხედავთ საქართველოში დამოუკიდებელ მუშათა მოძრაობას ბოლო მოელო. ეროვნულმა საბჭომ და მათ მიერ შექმნილმა მთავრობამ მიიღო წესათ ზევიდან დანიშვნის პრინციპი. დიდ ზომებს ღებულობდა მთავრობა, რომ მის მიერ დანიშნული პიროვნება ე. ი. „ადმინისტრატორი“ ყოფილიყო ბატონ-პატრონი რკინის გზისა. მაგრამ საბედნიეროდ შეიძლება ითქვას არც ისე ადვილი შეიქმნა დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის მიერ შექმნილი პირობების მოსპობა.

რკინის გზის პროლეტარიატმა ჯერ კიდევ შეინარჩუნა ზოგიერთი უფლებები, რასაც ჩვენი ღრმა რწმენით არავის დაუთმობენ, პირიქით უფრო გააფართოვებენ. მოსოციალისტო ინტელიგენციას ჰგონია, რომ ეს ყრილობა გადასცემს მთელი ძალა-უფლებას ზევიდან დანიშულ „ადმინისტრატორებს“ და ამნაირად მიეცემა საშუალება ბ. ჩინოვნიკებს იფარფაშონ და გამეფებული ქაოსი უფრო გაღრმაონ. ამაოდ ჰგონიათ, ჩვენი ღრმა რწმენით ყრილობა გამართლებს თავის დანიშნულებას, ის დაადგება სწორ გზას და აგრედ წოდებულ დანიშნულ ადმინისტრაციებს გაუქმებს და აიღებს მთელს წარმოებას ხელში. ეს იქნება ბუნებრივი და კანონიერი ნაბიჯი, ეს მოუღებს ბოლოს რკინის გზაში გამეფებულ არევ-დარევას და წარმოების განვითარებას ჩაუყრის მკვიდრ ნიადაგს.

პლ. ოტიაძე.

ახალი ამგეგი.

კავშირის კრება. ამხანაგების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ სამშაბათს, 14 ოქტომბერს, ჩვენი გაზ. რედაქციაში საღამოს 7 საათზე დანიშნულია კავშირის კრება. განსახილველია ფრიად საჩქარო და საყურადღებო საკითხები.

წევრებს ვთხოვთ დროზე გამოცხადნენ კრებაზე.

სტუდენტთა სასადილოს ქონიბის შესახებ ქალაქის გამგეობამ მისწერა თბილისის მილიციის უფროსს ასწროზ და ჩქაბაროს სახ. უნ. სტუდ. კავშირის გამგეობას, ყოფილ კაფე „კარა ლიდოს“ ქონება! რომლითაც დღემდეც სარგებლობს სტუდენტთა სასადილო.

სტუდენტთა შუამდგომლობა. სახელმწიფო უნივერსიტეტის 1 სემესტრის სტუდენტობამ შუამდგომლობა აღძრა სტუდ. კავშირის გამგეობის წინაშე, რათა უკანასკნელმა იშუამდგომლოს პროფესორთა საბჭოს წინაშე ლექციები იკითხებოდეს საღამობით და არა დილაობით. გამგეობამ მიანდო პრეზიდიუმს, ყოველ მხრივ ასწონ-დასწონონ ეს საკითხი და თუ შესაძლებელი იქნეს იშუამდგომლონ პროფეს. საბჭოს წინაშე.

ავტომდბილებით მიმოსვლა. გორიდან ცხინვალამდე ავტომობილებით სისტემატიური მიმოსვლა და შედარებით აქაურ მეეტლეებთან იაფიცაა.

კრება. დღეს 10 საათზე მუშათა კლუბის შენობაში შესდგება თფილისში მყოფ გამოჩინებულის საზოგადოების მკვიდრთა კულტურულ განმანთლებელ წრის გამგეობის მორიგი კრება. წევრებათ ჩსწერა გრძელდება. მსურველ შეუძლია ჩაეწეროს აქ (მიხეილოვის ქ. 65).

შევარდენთა საზოგადოება. ქუთაისში დაარსდა „შევარდენთა“ საზოგადოება. არჩეულ იქმნა გამგეობა და საბჭო.

უმაღლეს დაწყებითი საწავლებელი. გომის თემში და საწირეში მდგომარე სამოსწავლო წლიდან ვაიხსნა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი.

ვასო იმნაძე.

მეტად საშინელი და თავზარდამცემი ამბავი მომივიდა სოფლიდან. წუთისოფელს გამოსალმებია ნორჩი ახალგაზრდა, რომლის გული ზღვა იყო, დაუშრეტელი, წყარო სიმშვენიერისა. როცა მაგონდება მისი მუდამ ხალისიანი მომღიმარი ხატება —გული ბოღმა-ნაღვლით მევსება და ვერ წარმომიდგენია თუ შესძლებია ოდესმე დადუმოს მისი მეტყველი ენა... მაგრამ ვაი რომ უნდო სინამდვილე ყურში ჩაჩურჩულებს: მოკლესო. ავადმყოფობა, მხეცურად მოკლესო. უწყალო ბედო! ნუ თუ ისე გაუმაძღარი და დაუნდობელია შენი შე, რომ ვერ კმაყოფილდები აურაცხელი მსხვერპლით და დღითი დღე ხელიდან გვტაცებ საუკეთესო სულის მესაიდუმლე, მეგობრებს? უწყალო ბედო! ნუ თუ ისე დაკნინდი და დაეკი, რომ ღიშად, გაუმაძღარ სვავად იქეც? სად? სად? სად შეაფაროს თავი? ირგვლივ და ყველგან შავი სიკვდილი დასისინებს. ყოველივე თრთის მის წინაშე, როდემდის უნდა ვიცალოთ სისხლიდან? როდემდის? მუხთალო ბედო გვიპასუხე? ვასო იმნაძე მოჰკლეს, როცა საღამოს, მოქანცული დღიური შრომით, სახლში მიეშურებოდა, უდარდელად მხიარულად— ვიღაც უხეში ადამიანის ხელიდან იქმნა ტყვიით განგმირული. მეგობარო! შენი ახალგაზრდა, ნორჩი გული სამუდამოდ დაიფერფლა, ცივი მიწის საკუთრებად იქცა. მაგრამ მეგობარო რა ვუთხრა შენ მოხუცს მშობლებს, რით ვანუგეშო მამიშენის ჭაღარა? რით? მიპასუხე მეგობარო. რად სდუმხარ, შენ ხომ მუდამ გიყვარდა ლაპარაკი?—მაშ რად გაჩუმებულხარ მეგობარო!.. ძვირფასო ვასო შენი ხსოვნა მუდამ იცისკროვნებს ჩემ გულში—მაგრამ ვაი რომ ეს ძლიერ ცოტა შვებაა შენი მოკეთეთათვის. განისვენე მშვიდად საყვარელო მეგობარო და დაიმახსოვნე, რომ ეს არის საშინელი ღალატი, რად მიგვატოვე? რად?

საშა ბარამიძე.

ჰეტერა.

მე სილამაზის ბაღნარი ვარ, —ელადის ქალი;—
სადაც ჰყვავის თეთრი ვარდის მტყვევნი ბუჩქნარი...
და გულის კარი, ღია არი, ნაზი, ბაგ —ლალი;
სასიყვარულო აქა ყდერის ნაქარგი ქნარი.
მადი ჭაბუკო! და დაჰხიე ფარდა—ქსოვილი...
ახილე.—შვების აქ როგორ ჰქრის საამო სიო;
მოსწყვიტე ჩემს სულს—ნეტარ ვენახს—ტურფა ყვავილი,
და ადისრულე, კაცთ მურაზი—საალერსიო...
დასტკბი სულიკო!.. თორემ... შემდეგ სხვა მოვა ვაჟი;
იგი დაიჭერს შენსა ალაგს—უცხო სტუმარი...
რომ შენებრ, ისიც, დავწვა ცეცხლში—უფრო გიყმაჟი;
ვტანჯო, დავფერფლო,—კოცნათ ცვლაში—წუთისა „ქმარი“.
გელი...—ბროლ-მკერდა—მოსახვევნად, ჰეტერა მტრფობი!
ჰა, სარეცელი, იით წნული, ჰანგებ-ციური;
ვეყო მორცხვობა! სასიცოცხლო გრძნობათა მთრობი,—
ნუღარა მტანჯავ!.. მო... დაგატკბობს მნათი-მზიური!...

ს. ვრცაწმინდელი

უგრა[illegible] წერილი ნასნერგს

I.

ერთხელ,—ერთხელ კი არა, ხშირად ყოველითვის და მუდამ ამხანაგი, ნაცნობი, ჩემი გულის მესაიდუმლე მეგონა; მეგონა თითქო, რაც მე მინდოდა, ყველაფერს ის, ანგარიშს გაუწევდა, რადგანაც სახის გამომეტყველება მომეწონებოდა ხოლმე, ამ გვარად სასიამოვნო სიცილის და მეგობრული სიტყვების შემდეგ ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა და ეხლაც... როდესაც ამგვარ ვინმეს შევხვდები! დიახ, ეხლაც მეორდება ის პროცესი, მეორდება მაგრამ შედარებით მკრთალად, შეუმჩნევლად, რადგანაც მწარე გამოცდილებით ვიცი გემო ამგვარი დანდობის.. და... ეხლა უფრთხილდები და ეს გაფრთხილება ხშირად სისრულეში მოიყვანა, ჩემ სულს აზიანებს... და ამგვარად იმავე ცეცხლზე მდებარეტაფაში ვიწვი, ვიწვი შედარებით ნაკლებათ და ვდნები გაცილებით მეტად. და ყველა, ეს ხდება ცხოვრების უსამართლო წესების გამო!

II.

ჩემთვის ბავშობა, როგორც ასეთი, არ არსებობდა, არ არსებობდა! და ვეძებდი სულის მეგობარს, თანამგრძნოველს (ჩემი შეხედულებით) ადამიანს, როგორც ასეთს. და ეს დღემდის ვერსად ვპოვე, და შემდეგ შიაც, როგორც ვიცი, ასე გასტანს. გასტანს!

და გავყვები მეც უბედურთა ბილიკებს, და!.. ამ ბილიკთა შორის სიარულში, ჩემივე ხელით ჩამოვრეკავ ჩემი უკანასკნელი ტანჯვის ცხოვრების სამრეკვლოდან უკანასკნელ ზარს შავი ცხოვრებისას, შავი დამპალი ცხოვრებისას! და მაშინ იხარეთ, და იხარონ შავი ცხოვრების შვილებმა და ჩამომავლობამ.

III.

მახსოვს, ხუთი, ექვსი წლის წინად, როდესაც ცხოვრების ჭაობში ვეგდე! არსაიდან მშველელი არ სჩანდა.

რა უნდა მექნა, დიდს სულიერს უკმაყოფილებას თუმც არ განვიცდიდი, მაგრამ ადამიანურ ცხოვრების ნიშნის კარნახმა, ყურში რაღაც იმედის სიტყვები წამჩურჩულა, და ამ ჩურჩულმა უკანასკნელი ღონე მომაკრებია, რომ პატარობიდან ნაცნობ მეზღვაურთა შეგირდებისაკენ გავშურებოდი. და ეს ასეც მოხდა, როგორც იყო ბაბი ბავშვობაში, ისევ ამ მეზღვაურთა [illegible] ოდენ [illegible] ოდენ [illegible] ოდენ

მუშათა მოძრაობა ევროპაში.

დღეს მთელი ჩვენი ყურადღება ევროპისკენ არის მიპყრობილი, იქიდან მოველით ახალ ცნობებს, საიმედო ხმებს.

მუშათა კლასი ის დიდ მზადებაშია, გაფიცვები თანდათანობით ძლიერდებიან, ჯერ-ჯერობით როგორც საქ. დეპ. სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიაში ნახშარზე მომუშავე მუშები ემზადებიან დიდ გაფიცვისათვის.

ინგლისში კი რკინის გზის მუშების გაფიცვები მთავრობის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მუშების მოძრაობა ევროპაში, სხვადასხვა კუთხეებში ხდება და ეწყობა დიდი გაფიცვები ორგანიზაციულათ.

აგრეთვე ამერიკაში დაიწყო ფოლადის ჩამომსხმელ მუშების გაფიცვები, რომლის რიცხვი 284,000 აცს აღემატება. გაფიცულებს დღითი დღე ემატება.

დიდი ძალები ამხანაგების, როგორც ირკვევა ამას ხელმძღვანელობს პროფესიონალური კავშირები.

მუშათა კლასი საკმაოთ მზაა არის ევროპაში თავის ცხოვრების განახლების შესაქმნელად, რასაც მოწმობს ათი ვამუდმებითი ბრძოლა ბურჟუაზიასთან გაფიცვების და სხვა საშუალებებით. რაც შეეხება რუსეთში იქ მუშათა კლასი მთელი თავის ძალით და ღონით იბრძვის რეაქციის წინააღმდეგ. აღმოსავლეთ-დასავლეთის ფრონტები სხვა რევოლიუციური მუშებით, თავდავიწყებით იბრძვიან ოგინი სოციალისტურ იდეებისათვის, მაგ. აღარაფერი კომპრომისები ღარ სწამთ მსუქან კლასებთან.

ზოგიერთ მემარცხენე ჯგუფებს ზრად აქვთ პირდაპირი კავშირი ეიჭიროს ბოლიშევიკურ რუსეთან. ბოლითი ბერლინის რადიკალურმა აბჭომ მიიღო რეზოლიუცია საბჭოთა რუსეთან მოლაპარაკების, რაც ეეხება ევროპიელ მუშებს ოგინი ოლშევიკები არ არიან. მაგრამ, ინც დიდი სიმპატიით უყურებენ ოლშევიკების ზოგიერთ ნაბიჯებს. ოგინი უფრო შრომის კონფერენციის ევრები არიან, ე. ი. სინდიკალისტები, მუშათა მოძრაობა ევროპაში როგორც ირკვევა დღითი დღე მწვავე ხასიათს ღებულობს.

სოფლად

(ზოგადი შთაბეჭდილებანი)

6.

ჩვენ არას ვიტყოდით საქართველოს სხვა პოლიტიკურ პარტიების მუშაობის შესახებ სოფლად, რადგან მათ თითქმის არც უწარმოებიბთ ასეთი მუშაობა და თუ ზოგიერთ ემთხვევაში მათ ქონდათ მედნიერეა წამდგარიყვნენ ხალხის წინაშე— ველთვის დაბრცხებულნი რჩებოენ.

ამ შემთხვევაში შეიძლება განსაეუთრებულ როლს თამაშობდენ ქართველ ფედერალისტთა პარტია, ჯერ კიდევ თვისი გაჩენის დღეებიდან ეს პარტია ხმა მაღლა ჰღაღადებდა რომ ისინი მოწოდეიუნნი არიან იხსნა „გლეხური საძართველო“ მუდამ, ყოველთვინ. თითქო, მათი მოქმედების გეზი შეხამებული იყო გლეხის ყოფა-ცხოვრებასთან, მის რთულ პსიხოლოგიასთან. მაგრამ მიუხედავათ ამისა ამ პარტიას არავითარი ნიშნობლივი როლი არ უთამაშია საქართველოს სახელმწიფოებრივ ორგანიზმის შექმნაში, რომლის მთელი სიძლიერე მის შემადგენელ ელემენტების უარავლესობაში, გლეხებში უნდა აყვეს. ამ მოვლენის ახსნა შეიძლება ირა ხალხის შეუგნებლობით, არა რაიმე სხვა მიზეზებით, რომელსაც ხშირად მოიშველიებენ ხოლმე ფედერალისტები, არამედ მათი მოქმედების უტაქტობით, მათ უენერგიობით, ცნობილია რომ ფედერალისტთა პარტიამ გამოღვიძება იცის და „მგზნებარე“ მოწოდებებით გასვლა ხალხში მხოლოდ შაშინ, როცა საჭიროებს ან დამფუძნებელი კრების წევრობის პორთფელს, ან სხვა რაიმე მაღალ თანამდებობის ადგილას. მშინ ხშირად შეხვდებით თვით მიუვალ სოფელშიაც მათ პროპაგანდისტებს, რომლებიც ვინ იცის რას არ პირდებიან ხალხს. რა ნატვრის და ოცნების ფრთებით ასხმულნი არ მიეძანებიან სადღაც ზღაპრულ ქვეყნის ნავთსადგურში, რომელსაც მეცნიერება სოციალიზმს უწოდებს. დიდს მოძრაობას და ძალთა მობილიზაციას განიცდის ამ დროს ფედერალიისტთა პარტია. დიდიდან პატარამდი (მაგალითად მინისტრიდან— მოწაფემდინ, როგორც დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს) მიეშურებიან იქ საცა „მაშვრალნი და ტვირთმძიმენი ძლიერ უღელქვეშ მოქცეულნი გმინავენ და უხმობენ მებრძოლებს შეწყალებისკენ“. რომ ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ „მძიმე იარები“.

ჩვენში გლეხობა ცნობილია, როგორც კულტურულად ძლიერ დაბალ დონეზე მყოფი, რომელიც ჯერ კიდევ საუალო საუკუნოების უაზრო „საკენკებით“ იკვებება და რა გასაკვირია. რომ „მოაჯადოვოს“ ასეთმა გრძნობით და სილამაზით აღსავსე სიტყვებმა. მის გრძნობას ვერც კი წარმოუდგენია იმის მსგავი რამ რასაც სოფელს პროპმგანდისტი ჩასჩიჩინებს და უნებურად ხდება მისი მსხვერპლი. განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევა ქართლში.

ხალხს სრულიადაც წარმოდგენაც კა არ აქვთ ელემენტარულ ცნებებზე და ისინი კი მაღალ-მაღალი აფორიზმებით მიმართავენ, თითქმის, სავსებით შეუგნებელ ხალხს და, გადაშენებული არ იქნება, თუ კიტყვით „ბრბოს“.

ქართლში მაგალითად ყოვლად შეუძლებელია ქალი კრებაზე დაესწრას, ის არ ითვლება მოქალაქედ, რა შეეკითხოთ გლეხს, რატომ ხდება ეს? ის გიპასუხებს: რომ ქალი გაუჩენია ღმერთს ემსახუროს, როგორც მონა-მორჩილმა ქმარს. ისინი მოვალენი არიან, როგორც პირუტყვებმა, მომავალ თაობის აღზრდის შესახებ იზრუნოს და სხვა რამ მისთვის დახშულია. აი ასეთ შეუგნებელ მასსაში ეწევიან აგიტაცია-პროპაგანდას, ერთი მეორის კიცხვა-გინებას ჩვენი „ოლიტიკური პარტიები, რომლებშიაც ფედერალისტები, ამგვარ საქმეებში ყველაზე უფრო ცნობილნი და მოხერხებულნი არიან. გათავდება არ ჩევნებიც, გაიარს დაპირებანიც. კკლავ ჩამოვარდება „მყუდრო“ ცხოვრება და ამ სიმშვიდეში, ამ იდუმლებაში ვინ იცის რამდენი ობობა აბამს თავის ქსელს. რომ დააღვიოს ისედაც აფორიაქებულ-შეწუხებული ცხოვრება ხალხისა და არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ მოსვლია აზრდა (თუმცა საჭიროების დროს ხშირად დაპირდა, ჩვენც ძლიერ ხღირად ვიყავით ამის მოწამე) წავიდნენ სოფლად. მიუტანონ ხალხს გაზეთები, წაუკითხონ, მისცეს მას განმარტება, დარიგება.

ეს მათთვის ძნელი არ იქნება და ხალხისათვის კი ძლიერ საჭირო და სასარგებლო. ბევრ სოფელმა არც კი იცის რომელ სახელმწიფოში ცხოვრობს (იქნებ მკითხველს ეს გაუკვირდეს, მაგრამ რომ ინებებდეს და ერთხელ მაინც ესტუმრებოდეს მრავალტანჯულ მივარდნილ კუთხეს ამაში უსათუოდ დამერწმუნებიან).

ერთ-ერთ სოფელში, მოგზაურობის დროს, ერთი გლეხი მეუბნება: „შენ ქირიმე მიოხარი ი ჩვენი ხელწიფე ეორდანია, რუსეთის ხელწიფეს რო ჩამოშორდაო როგორი კაციაო“. ასეთი მაგალითები მრავალია. მაგრამ ვინ არის რომ პასუხი გასცეს ხალხის გულიდან აღმოკვნესილ კითხვებს. მაგისთვის ვის სცალია. განა „დედა-ქალაქის“ ერიამუალი არ სჯობს სოფლის მყუდრო ყოფნას? მაშ რის ინტელიგენცია იქნებოდა რომ მიშველებოდა თავის მოძმეებს, სოფლელებს. აბა მამართეთ სიტყვით როგორი ქებათა ქება შეესხან იმ მრავალტანჯულ რუსბთის „ნაროდნიკებს“, რომელთაც დევიზი იყო მსვლელობა ხალხში (хожденіе въ народу). რომელნიც არ იხრიდნენ ქედს საშინლების წინაშე და მიოდენ სოფლად, რომ სინათლის სხივვბით გაეშუქებიათ გლეხის ბნელი საკანიც, რომ ისინიც დამწვარ-დაღმგულიყვნენ გლეხის ყოფით, მათაც ესვათ ხალხის მწარე ფიალა. და სწორედ ისინი იყვნენ ხალხოსნები და რევოლიუციონერები და არა ჩვენებური „მოხოციალისტო ინტელიგენცია“, რომელთაც ხალხი ენაზე კიდია და მისი ინტერესები კი ფეხებზე (როგორც ერთხელ ეშმაკმა „საქართველოელთ“ უთხრა). მაშ რა გასაკვირი იქნება ამ დღეს ხალხი სრულიად ჩამოშორდა მის დამლუპველ პოლიტიკურ პარტიას. მაგრამ ვაი რომ არც ძალა შესწევს თვით გასწალდოს ნარ ეკლიანი გზა და მომავლის პრესპექტივები მისთვინ კვლავინდებურად შავი ბურუსით არი მოცული. მაგრამ ვიმედოვნებთ რომ ეიაედობა მხოლოდ დროებითია, წარმავალია, რომ იფიქრებს ხალხის თვით შეგნება და უოპეკოთ, დაუკოუკიდებელს გზით გაექანება თავისუფლების და სიყვარულის მშვიდ ტაძრისკენ.

ალ. ბერამიძე.

ტაქტიკა.

(დასასრული იხ. „ახ. ნაკ.“ № 44)

ჩვენი ტაქტიკური მოქმედება უნდა წარმოადგენდეს ერთ განუწყვეტელ სერიას; განვითარება მებრძოლი სულისა, ბრძოლა, რევოლიუცია.

ამ განუწყვეტელი სერიის მომენტებში შეიძლება სხვადასხვა სახე მიიღონ, როგორც მაგ, სახე შრომაგანდისა, აგიტაციისა, ბოიკოტის, საბოტაჟისა, გადასახადების და სამხედრო ბეგრის უარეოფისა, ინდივიდიალური აქტებისა, კაფიტვების აკრძალვა და საუბრიკო ჯანუებათა, დემონსტრაციებისა, ადგილობრივ კომუნების კამოცხადებისა, ეაერთო კაფიტვისა და სოციალურ რევოლიუციისა,

ყველა ამ ბრძოლის სახსრების მხმარებელი გლეხთა და მუშათა, სოფლისა და ქალაქის მაშვრალთა სინდიკატებია, რომელთა შექმნა და გაძლიერება სოციალისტური მოქმედების პირველი მოვალეობა და ნაბიჯია პროპაგანდასთან და აგიტაციასთან ერთად.

პრომაგანდა იდეისა ყოველთვის მოქმედების დასწყისთა აგიტაცია, ხშირად საჭიროა პრომაგანდისთვის გზის გასახსნელად; ის საჭიროა აგრეთვე მაშინ, როცა ადა იმდენად გამაგრდა და გაძლიერდა, რომ შესაძლებელია იდეიდან მოქმედებაზე გადასვლა.

ვისაც უნდა თავისუფლებისა და მის უფლების მოპოვება, ის ყოველის უმალ ინდივიდის და მასსის მებრძოლი სულის განვითარებას უნდა სცდილობდეს. უნდა სცდილობდეს მათი გულიდან აღმოფხვრას პოლიციის შიში და კანონისა და სახელმწიფოს ფეტიშიზმი. მათ მაგიერ კი მათ გულში უნდა უნერგიდეს კეთილშობილი თვითმოუვარეობას და დირსებას, აზროვნების თავისუფლებას და გაბედულებას, მოქმედების დამოუკიდებლობის, სულიერი ძალის შეგნებას და სარევოლიუციო ინიციატივას, რადგანაც ყველასთვის ცხადია, რომ მონანი გულით- და სულით თავისუფლებას ვერ ვერ ვერ ტაძარს ვერ აღაგებენ.

ასეთია პირობებია თავისუფლების განხორციელების შექმნისა.

მუშათა მოძრაობა მრავალ სხვადასხვა სახიერია? ის ხან ადგილობრივი და სუსტია, ხანაც ფართო და ძლიერი და ამის შესაფერ სახესაც ღებულობს ხოლმე.

ის ხან ბოიკოტში გამოიხატება, ბოიკოტი შეიძლება იყოს ზარდაბარი —ეს ბოიკოტის ობიექტის ხასოგადოებრივ ურთიერთობიდან გამორიცხვას ნიშნავს; ხან კიდევ არაზარდაბარი, რომელიც იხმარება წარმოების ნიადაგზე—საქონლის „დაღვეთ“.

თუ საქონელი აღნიშნულია ორგანიზაციის „დაღით“ ეს იმას ნიშნავს, რომ მისი პატრონი თავის მუშებ მედარებით კარგად ეპყრობა, პროფესიონალურ ორგანიზაციების დადგენილებებს აკმაყოფილებს, თუ რომელიმი მეპატრონე არღვევს პირობებს, მის საქონელს დაღი არა აქვს და ეს იმას ნიშნავს რომ მისი ქარხანა, ფაბრიკა თუ სახელოსნო ბოიკოტ ქვეშ არის ცნობილი და მისი საქონელიც არ უნდა იქმნას ყიდული,

ხანაც და განსაკუთრებით იქ, სადაც მუშათა პარტია-ჯგუფს უხდება მოქმედება და პირდაპირი გაშლილი ბრძოლა შეუძლებელია, ასეთ პირობებში მუშები მიმართავენ ხოლმე ეგრედ წოდებულ—საბოტაჟს, რომლის შინაარსიც იმაში გამოიხატება რომ მუშები [illegible] ცუდი სამუშაო ქსელის გამო [illegible] მუშაობენ. ეს სახსარი ბრძოლისა უფრო ხშირად სამეურნეო წარმოებაში იხმარება ხოლმე.

მხოლოდ რაც შეეხება გაფუტვას, ის ისეთი სპეციალური სახსარია ბრძოლისა, რომელიც ყველაზე ხშირად იხმარება ხოლმე, რადგან ის ბუნებრივად გამომდინარეობს მუშათა ყოველდღიურ საჭიროებისაგან. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ გახშირება გაფიცვებისა და გაძლიერება მუშათა კლასის თვითშეგნებისა ორი პარალელური მოვლენაა. გაფიცვა გამოდგებოდა მუშათა კლასობრივი ინსტიქტისა, ის მიზეზია ორგანიზაციების შექმნისა, ადმზრდელია მუშათა კლასისა კაპიტალთან საბრძოლველად წარმოების ნიადაგზე; ის წვრილმან გაუმჯობესებათა მოპოვების საუკეთესო და უფრო ხელსაყრელი სახსარია. გაფიცვა მუშათა უფლების გზირია და კაპიტალის აცილია.

სადაც კი მუშათა კლასი განვითარებულია და წელმომაგრებულია სერიოზული პროფესიონალური ორგანიზაციებით. ყოველ გაფიცვას საერთო გაფიცვისაკენ ლტოლვილება და ტენდენცია ეტყობა და ამიტომ გაფიცვის აქეთკენ გაფართოვება უნდა შეადგენდეს პრაქტიკულ მიზანს შეგნებული რევოლიუციონერისათვის. ხშირად ისიც კი მომხდარა და შეიძლება მოხდეს, რომ ადგილობრივი გაფიცვა გაიდეს მიზეზად ადგილობრივ კომუნის გამოცხადებისა.

როგორც ყოველი გაფიცვა მიილტვის საერთო გაფიცვისაკენ, აგრეთვე ყოველი საერთო გაფიცვა რკინის ლოდიკით სოციალურ რევოლიუციისაკენ მიესწრაფება. საერთო გაფიცვა ეს ისეთი სახსარია ბრძოლისა, რომელიც ახდენს მტრის ძალის დემობილიზაციას და ამით კი გზას უხსნის სოციალურ რევოლიუციას, რომელიც ორი მომენტით ხასიათდება:

1) დანგრევა სახელმწიფოსა და კაპიტალისტთა ექსპლოატაციისა, 2) დამყარება ახალი წესწყობილებისა— კომუნიზმისა.

მაგრამ რაც შეეხება სარევოლიუციო აქტებს, აქტებს ინდივიდიალურ და ეფექტიანი ჯანუებისას, მათი სისტემატიზაცია ძალიან ძნელია, რადგან ისინი წარმოადგენენ სახსრებს ბარტიზანული ბრძოლისას, რომელიც ადგილობრივი პირობების და საზოგადო სარევოლიუციო ტაქტიკის მიხედვით იხმარებიან სარევოლიუციო მომქმედ ჯგუფთა მიერ.

რევოლიუცია ცხოვრებისათვის ბრძოლაა. ფორმა რომელსაც ეს ბრძოლა იღებს სხვადასხვა გვარია, მაგრამ ის ყველგან ზემონახსენებ სამ მომენტისაგან შესდგება: განვითარება მებრძოლი სულისა, ბრძოლა, რევოლიუცია.

სადაც მუშაა, სადაც მუშათა ბრძოლა სწარმოებს, ჩვენი ადგილი იქაა. რისთვისაც უნდა იბრძოდეს მუშათა კლასი, ჩვენი მოვალეობაა ბრძოლაში ჩარევა მოსახმარებლად ბრძოლის ორგანოში მოსაკვანად, ან თვით ბრძოლის შეგნების გამოსარკვევად, ჩვენი დროშა მუდმივ რევოლიუციისაკენ უნდა იწვევდეს მებრძოლ მაშვრალ ხალხს, ის გაქნუწეტელ რევოლიუციას უნდა წარმოადგენდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაპტიკა.

ჩვენი ტაქტიკის ძალი ჩვენი საქმე იდეალისთვის ბრძოლაა და ამ იდეალისთვის ბრძოლის საჭიროების ჩანერგვაა ხალხის გულში; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სანამ რევოლიუციის ცეცხლი არ აინთება და სანამ არსებული წესწყობილების დანგრევას ვერ მოვახერხებთ, ყოველ დღიურ ბრძოლაში მონაწილეობას არ მივიღებდეთ პირიქით, ყოველ დღიურ ბრძოლაში ჩვენ მხურვალე მივიღებთ და ვეცდებით ერთი მხრით ავანთოთ, გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ სარევოლიუციო ცეცხლი, მეორე მხრივ კი წამოვაყენებთ და მხარს დაუჭერთ ყოველ იმ მოთხოვნილებას სოფლებში და ქალაქებში, რომელნიც ხელს უწყობენ მაშვრალი ხალხის სარევოლიუციო აღზრდას და მის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ჩვენ ყოველთვის გარკვევით აღვნიშნავთ იმ აზრს, რომ ბურჟუაზიულ წესწყობილებაში ყოველი გაუმჯობესება —დროებით გაუსჯობესებაა და რომ სამდვილი რადიკალური გაუმჯობესება დაჩაგრულთა ბედისა და მდგომარეობისა მხოლოდ სოციალიზმის განხორციელების დროს შეიძლება.

ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, ჩვენ პრაქტიკული მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ. ჩვენი პრაქტიკული მოსაზრება კი იმაში მდგომარეობს, რომ მიზანი საშუალებას ეგუებოდეს და საშუალება მიზანს.

ცხადია, მაგ., თუ უბრალო გაფიცვა სწარმოებს, მას ჩვენ მიზნათ სოციალურ რევოლიუციას ვერ დაუსახავთ, იგი უმთავრესად პალიატივთა მოსაპოვებელი საშუალებაა მაგრამ, პრაქტიკული მოსაზრებითვე შეგვიძლიან ვეცადოთ გავაფართოვოთ გაფიცვა, გავხადოთ ის ადგილობრივ საყოველთაო გაფიცვად.

მაშინ კი, რადგან ბრძოლის საშუალება გაფართოვდება, ეოველად რეაქციონალური იქნება თვით ბრძოლის მიზნის გაფართოებაც.

ადგილობრივი საყოველთაო გაფიცვა შეიძლება კიდევ გაფართოებულ იქმნას, მაშინ კი რევოლიუციის პირობები იქმნება და ამიტომ პალიატივის მიტოვება და საბოლოო მიზნის წინ წამოეენება ეოველად პრაქტიკულ ზომად ხდება. ერთი სიტყვით, საშუალების სიძლიერისა და მოთხოვნილების რაოდენობის შორის სრული პირდაპირი პროპორციონალობა უნდა არსებობდეს.

ჩვენის აზრით დღეს დასახული მიზნის განხორციელების უმთავრესი დაბრკოლება სუბიექტიური ხასიათისაა, რომელიც გამოიხატება ხალხის და ინდივიდის მოუმზადებლობაში, რომლის დაძლევაც შეიძლება, როგორც ზემოთ ვთქვით ხალხის გულში იდეალისათვის ბრძოლის საჭიროების ჩანერგვით და ყოველ შესაფერ შემთხვევაში მის განსახორციელებლად ბრძოლის დაწყებით.

ჩვენ არ გვწამს ისეთი მინიმუმი, რომელიც ჩვენი დროისათვის მაქსიმუმად არის დასახული, რადგან ეს დამოკიდებულია იმ სახსრებზე, რომელნიც მის განსახორციელებლად იხმარებიან ის მოთხოვნილება, რომელიც მაქსიმუმად ითვლება ერთ პირობებში, შეიძლება მინიმუმად გახდეს სხვა პირობებში. აგრეთვე, ერთი მოთხოვნილება შეიძლება მაქსიმუმი იყოს ერთი სახსრისათვის მეორესთვის კი —მინიმუმი.

არც მეცნიერული, არც ლოგიკური და არც პრაქტიკულ მოვალეობად არ მიგვაჩნია ჩვენ სამზღვრები დაუდოთ რევოლიუციას.

არც ეოველ დღიურ ბრძოლაში მიგვაჩნია შესაძლებლად მაქსიმალურად დასახულ მინიმუმის ადიარება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ყოველთვის უნდა ვეცადოთ გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ ყოველი მოძრაობა მისი სახსრების მხნივ და მაშასადამე მისი პრაქტიკული მიზნების მხრივაც.

მინიმუმის დადგენა,—ხალხის და მისი მისწრაფებათა შეზღუდვა და შებორკვა. ეს კი ჩვენი საქმე არ არის! ეს მხოლოდ ბურჟუაზიის საქმეა; ამას მოითხოვს მხოლოდ მისი ინტერესები და მიტომ იგი იზრუნებს და ეცდება ამისთვის.

ჩვენ კი, ჩვენ ყოველ დღიურ ბრძოლაში ვსარგებლობთ და ვხელმძღვანელობთ შემდეგი საზოგადო სოციალისტური დირექტივებით:

სრული უფლება მიწაზე ყველა მშრომელისთვის, ვინც თავის ოფლითა რწყავს მიწას და ვინც ამითა სცხოვრობს; სოციალიზაცია მიწისა, როგორც საკუთრების ისე მოხმარების მხრივ.

უფლება მთელი საზოგადოებისათვის ყველა იმაზე, რაც მთელი საზოგადოებისავე მიერ და წარსულ თაობათა შრომით არის შექმნილი: საცხოვრებელი სახლები, ფაბრიკები, ქარხნები, სახელოსნოები, გზები, რკინის გზა, მიწერ-მოწერის სახსრები, მადნები და სხვა.

უფლება ყველასათვის იმაზე, რაც უკვე შეუძლია თანამედროვე საზოგადოებას; უზრუნველყოფილი, გაუჭირვებელი სიცოცხლე ყველა იმისთვის, ვინც შრომობს რომელიმე საზოგადო საჭირო წარმოების დარგში.

უფლება ყველასათვის სრულ სამეცნიერო და პროფესიონალურ აღზრდაზე, უზრუნველყოფა მოხუცთა და ბავშვთა, დავრდენილთა და სუსტთა.

მაშასადამე ჩვენი მუდმივი მისწრაფება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მოძრაობა გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ ისე, რომ მას შეეძლოს ყველა ზემოჩამოთვლილ მოთხოვნილებათა თავის პრაქტიკულ მიზნად დასახვა.

თვით ეოველდღიურ ბრძოლაში აგიტაციისათვის და მაშვრალი ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად მხარში ამოუდგებით მოძრაობას და ხელს შეეუწყობთ მას პირდაპირი რევოლიუციური ბრძოლით.

ჩვენ ვსარგებლობთ ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებაში შემდეგი მოსაზრებებით:

1) დარწმუნებული ვართ იმისთვის, რომ ხალხთა შორის დამყარდეს სრული თავისუფლება საზოგადოებისა—სასოფლო და სამოქალაქო კომუნათა ან მათ ფედერაციათა შორის სამართლიანობა, სოლიდარობა და თავისუფლება, აუცილებლად საჭიროა პირადობის ავტონომია.

ჩვენთვის ისიც ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ეხლანდელ სახელმწიფოებს ასეთი ძმური კავშირის განხორციელება არ შეუძლიათ, რადგანაც მათი არსება, უარყოფაა ასეთი კავშირისა, ვინაიდან მათი კავშირი არც მშვიდობიანობის, არც თავისუფლების და სოლიდარობის გარანტიას არ წარმოადგენს.

3) არც ერთი ცენტრალისტური სახელმწიფო, ბიუროკრატიული და მაშასადამე მილიტარისტულ-პოლიტიკური, თუნდაც მას რესპულიკა ჰქვიოდეს, არ შეიძლება შევიდეს ჩვენ სასურველ კონფედერაციაში, რადგან ამგვარი სახელმწიფონი თავისი კონსტიტუციებით აუცილებლად დაარღვევენ მოკავშირეთა ერთობას, ვინაიდან ყოველი ცენტრალისტური სახელმწიფო გამსჭვალულია გაფართოვებისადმი მისწრაფებით და ამას კი პრაქტიკულად ის შედეგი აქვს, რომ შიგნით ინდივიდთა და ჯგუფთა თვითმოქმედებას ამცირებს, რადგან თავის ხელში აგროვებს ყველა საზოგადოებრივ ფუნქციას და გარეკ კი—თავის ტერიტორიას და ძალადატონობას აფართოვებს, მეზობლებსა სჩაგრავს და აწუხებს.

4) რაც შეეხება სახელმწიფოთა ისტორიულ უფლებას, ეს უზურპაციის და გადაგვარების უფლებაა. მომავალი შემოქმედ ძალის მიერ ის უარყოფილი უნდა იქნეს, როგორც ნაშთი წარსული ბარბაროსობისა.

5) სამაგიეროდ, დარწმუნებული ვართ, რომ აუცილებელი პირობა ხალხთა ურთიერთობაში სამართლიანობისა, სოლიდარობის და თავისუფლების განხორციელების არის თვით ამ ხალხთა ავტონომია, თავისუფლება და ამ ავტონომიურ თავისუფალ ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირი, ამიტომ მოვალეთ ვრაცხთ თავს ეოველ ჩვენა ძალღონით მხარი დაუჭირეთ ეოველ ხალიფნალურ აკანუებას თავის შეჯგრელთა წინააღმდეგ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ აკანუება სულდგმულობდეს ჩვეგან აღნიშნულ ავტონომიაფედერალიზმის პრინციპებით, რევოლიუცია ჩვენი დედუფ-მამულია — უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ მის ტერიტორიას და კულტს სახელმწიფოს სიძლიერისას ჩვენ ვუპირდაპირებთ ჩვენს მისწრაფებას საეოველთაო შრომისა და საეოველთაო ბედნიერებისადმი. ეოველ სახელმწიფოებრივ კერპთა თაყვანებას და ფეტიშიზმს, რომელმაც დღემდის დიდძალი რიცხვი ადამიანებისა იმსხვერპლა, ჩვენ მუდამ შეებრძოლებით. ადამიანმა ეოველგვარი ბატონი და გამოსცადა და უფალ ტუდი გამოდგა. დროა უბატონოთ თავისუფლებაში, შრომაში და სოდიდარობაში მონახოს თავისი ხსნა.

6) ამიტომ ძველი სახელმწიფო ორგანიზაციის მაგივრად, რომელიც ძალადობაზე, ავტორიტეტზეა დამყარებული და ზევიდან ქვეით არის მოწესრიგებული, ჩვენ ვესწრაფოთ ახალი ორგანიზაციის დაარსებას, რომელსაც ნიადაგად ექნება მხოლოდ ხალხთა ინტერესები, საჭიროებანი და ეთნიური ნათესაობა, პრინციპად კი თავისუფალი ფედერაცია ინდივიდთა კომუნაში, კომუნებისა მხარეებში, მხარეებისა ნაციაში, და ნაციებისა მთელ კაცობრიობაში.

7) აღიარება ყოველი ნაციის დიდის თუ პატარის, ძლიერის თუ სუსტის, ყოველი კომუნის, ყოველი მხარის უფლებისა სრულს ავტონომიაზე იმ პირობით კი, რომ მისი შინაგანი კონსტიტუცია არ წარმოადგენდეს რაიმე ხიფათსა და დაბრკოლებას მეზობლის ავტონომიისა და თავისუფლებისათვის.

8) მაგრამ, რომ ერთი ნაცია მეორესთან იყვეს დაკავშირებული ნებით თუ ძალით, იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ამ კავშირში უნდა დარჩეს სამუდამოდ. პირველითარ მოვალეობას ინდივიდთა, ჯგუფთა თუ ნაციათა შორის, რომელიც სრულ თავისუფლებასა არ იქნება დამყარებული, ჩვენ მუდმივად არ აღვიარებთ. თავისუფლად დაკავშირება და თავისუფლადვე შეწყვეტა კავშირისა არის ბირველი და უუმხიშვნელოვანესი უფლებ ინდივიდთა, ჯგუფთა და ნაციათა, ურომლისოდაც ეოველ ფედერაციას და კონფედერაციას ფარულ ცენტრალიზმად აქცევს.

9) დიახ, ჩვენ აღვიარებთ ნაციონალობას. როგორც ბუნებრივ მოვლენას, რომელსაც უეჭველი უფლება აქვს ნორმალურ ცხოარებისა და განვითარებისა, და არა როგორც პრინციპს, რადგან ყოველ პრინციპს საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, ნაციონალობა კი—კერძოობითი მოვლენაა. ჩვენთვის ნაციათა თავისუფლება გამომდინარეობს თავისუფლების დიადი პრინციპისაგან და ის წმინდა უფლებაა ყველასათვის.

10) ერთობა ის მიზანია, რომლისკენ კულტურულადაც მძლავრად მიესწრაფება საზოგადოება და კაცობრიობა, მაგრამ ეს ერთობა საშინელება იყო ყოველთვის და იქნება კიდევაც, როცა იგი რომელიმე თეოლოგიურ-მეტაფიზიკურ, ან და პოლიტიკურ-ეკონომიურ ცენტრალიზაციის პრინციპზე ემყარებოდა, ან დაემყარება. ჩვენ მხოლოდ ის ფედერაციაა გვწამს და ვაფასებთ, რომელიც ანსაბარ უფლებათა ნიადაგზე აკავშირებს ავტონომიურ ნაწილებს ერთ ჯანმრთელ ერთეულში.

ამიტომ ჩვენ ბრძოლას ვუცხადებთ ყოველ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც არ არის გამსჭვალული თავისუფლების ამ დიადი პრინციპით. ურომლისოდაც არ შეიძლება არც ჭკუის და გონების კაცობრიობის გონების განვითარება.

ეხლა თავისთავად ყველასათვის ცხადია, თუ რაგვარ მოთხოვნილებების განხორციელებას შევუწყობთ ჩვენ ხელს და როგორი იქნება ჩვენი პრაქტიკული მიზნები ყოველ დღიურ ბრძოლაში.

ყოველ მოთხოვნილებას, რომელიც ამ ტენდენციებს ეთანხმება, ჩვენ ორგანიზაციას და აფართოვებს უფლებებს ინდივიდისას, ჯგუფებისას და ადგილობრივ დაწესებულებებისას ხელს უწყობს ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიურ თვითმოქმედებას, ჩვენ მხარს დაუჭერთ მთელი ჩვენ ენერგიით და დავეხმარებით მთელი ჩვენი ძალით.

ასეთია მოკლედ ჩვენი იდეალი, ჩვენი მისწრაფება.

დროა წარსულის და აწმყოს ბნელმა ძალამ ბრწყინვალე მომავალს დაუთმოს ადგილი.

ჩვენი მოყვარენი ძმურის კავშირისა, მდაბადებელნი ნებაყოფლობითი, თავისუფალი, სოლიდარული ცხოვრებისა. ბრძოლის სახსრებით ვიჭურვებით, რადგან უზურპაციით, ცეცხლითა და მახვილით გამეფებულ, დამჩაგვრელ და დამონავებულ ძალას მხოლოდ ძალით, ცეცხლითვე და მახვილით უნდა გაეცეს პასუხი.

ჩვენ ვიცით რომ თავისუფლებ და კეთილდღეობა მხოლოდ ამ ს ფასით მოიპოვების და ჩვენც მას ს დავზოგავთ. რაც უნდა სასტი იყოს რევოლიუციონური ბრძოლ და რევოლიუცია, ის მაინც ბევრ უფრო კაცობრიულია, ვიდრე არს ბული წესწყობილება, იმიტომ რ ის ამოკლებს და ამცირებს ტანჯულ თა და წვალებულთა, კაცთა შორ კაცად არ მიჩნეულთა, ვაებით წვალებით რეჟიმის სიცოცხლეს თავისუფლების სამეფოში მიმავალ უმოკლესი გზაა.

ჩვენს ამხანაგებს

ვინ არ იცის, რომ დ ბეჭედითი საქმე მეტად გართუ და შეუძლებელი ხდება მი გავრცელება ხალხში, ამიტ ჩვენი რედაქცია კიდევ მოაგ ნებს შუშა ამხანაგებს, რ შემლების დაგვარათ დაეხმარ თავის ინტერესების გამოშხ ველ გასეთს მატერიალურათ იდეურად.

რედაქცია

რედაქტორ-გამომცემელი.

სარედაქცო-კოლეგ

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთთხელ

კვირაობით

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 8 მან., ცალკე ნომერი 2 მ.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დე.

ტფილისი „ბეჭედვითი ამხანაგების გოლოვინის ქუჩ., ტელ. 73—4.